

- 3.7. გუნდის მწვრთნელი ვალდებულია, შეხვედრის დაწყებამდე 45 წუთით ადრე მატჩის ტექნიკურ ოქმში შეიყვანოს არაუმეტეს 18 მოთამაშისა. ყოველ ფეხბურთელს ოქმში შეყვანილი ნომრის შესაბამისად უნდა ჰქონდეს ნომერი მაისურზე; სავალდებულოა გუნდის ყველა ფეხბურთელს მაისურის მარცხენა მკლავზე ჰქონდეს „VTB“-ის ნიშანი.
- 3.8. თამაშის ოქმს პირველად ავსებს მასპინძელთა გუნდის წარმომადგენელი:
- 3.9. თამაშის ოქმს მატჩის დაწყებამდე ხელს აწერენ გუნდების კაპიტნები, გუნდების წარმომადგენლები და მთავარი მსაჯი. მატჩის ოქმში შეყვანილ უნდა იყვნენ ოფიციალური პირები (გვარი, სახელი, თანამდებობა), მწვრთნელი, ექიმი, სათადარიგო ფეხბურთელები (7 მოთამაშე). რომლებიც თამაშის დროს სხდებიან სათადარიგოთა სკამზე სპეციალურად ამისათვის გამოყოფილ ტექნიკურ ზონაში. მინდვრიდან გაძევებულ ფეხბურთელს სათადარიგოთა სკამზე ყოფნა ეკრძალება;
- 3.10. მატჩის მსაჯები ვალდებული არიან, შეამოწმონ გუნდების ფეხბურთელთა მოთამაშის ბარათები. ის მოთამაშე, რომელსაც მოთამაშის ბარათები არ გააჩნიათ, მატჩზე არ დაიშვება. უშუალოდ მატჩის დაწყების წინ და ფეხბურთელის შეცვლის დროს მოედანზე მსაჯთა ბრიგადა ვალდებულია, მოახდინოს მოთამაშის ბარათისა და მოთამაშის ვიზუალური შემოწმება.
- 3.11. გუნდს უნდა ჰქონდეს ორი მკვეთრად განსხვავებული ფერის ფორმა, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს თფფ-ს განაცხადის შეტანის დროს. მსაჯები აგრეთვე ეცნობიან მოთამაშეთა ფორმის ფერებს. თუ გუნდების სათამაშო ფორმა ერთნაირია, მსაჯების მოთხოვნით ფორმა უნდა გამოიცვალოს მასპინძელმა გუნდმა. მოედანზე მყოფ ფეხბურთელებს ეკრძალებათ წვივსაფრის გარეშე თამაში;
- 3.12. იკრძალება ერთი ფეხბურთელის ორ სხვადასხვა გუნდში თამაში.
- 3.13. გუნდებს უფლება ეძლევათ თავისივე კლუბის სამი ფეხბურთელის დამატებისა. მერიის თასის უფროსი და უმცროსი ასაკის გუნდებიდან, თუ ფეხბურთელის ასაკი შეესაბამება იმ გუნდის ასაკს, სადაც აპირებს ფეხბურთელი თამაშს.
- 3.14. თბილისის მერიის თასის მოასპარეზე მასპინძელი გუნდი ვალდებულია, თითოეულ თამაშზე მსაჯებს წარუდგინოს არანაკლებ 3 სათამაშო ბურთი.
- 3.15. ორგანიზატორი ვალდებულია სტადიონზე იყოლიოს კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი, ასევე უზრუნველყოს საზოგადოებრივ წესრიგის დამცველთა საჭირო რაოდენობა.
- 3.16. თბილისის მერიის თასის გათამაშებაში ნებადართულია მატჩის ოქმში შეყვანილი ყველა ფეხბურთელის შეცვლა. 2003 და 2004 წწ. ტურნირებში უკუმეცვლა აკრძალულია. დანარჩენ ასაკობრივ ტურნირებში უკუმეცვლა ნებადართულია. ყველა ტურნირში შეცვლა ნებადართულია, მატჩის გაჩერების შემთხვევაში.
- 3.17. სათადარიგო მოთამაშეთა მოთელვა უნდა ხდებოდეს მთავარი მსაჯის მიერ მითითებულ ადგილზე.
- 3.18. გუნდებს შეუძლიათ, მოითხოვონ თამაშის გადატანა იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებში გამოძახებულია მათი 5 ან მეტი ფეხბურთელი.
- 3.19. მატჩის დაწყების დროს განსაზღვრავს თფფ.